ონის მუნიციპალიტეტის მერის

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

ბრძანება:**ბ78. 7823060001**

თარიღი:**01/03/2023**

**ონის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76- ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ა) ონის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი დანართი 1 - ის შესაბამისად;
ბ) 2023 - 2024 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი 2 - ის შესაბამისად;
გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმები მე-3-მე-6 დანართების შესაბამისად.

2. დაევალოს საფინანსო სამსახურის უფროსს (ქალბატონ თინათინ ბროლაშვილს) ერთი თვის ვადაში შეადგინოს:
ა) საბიუჯეტო კალენდართან (დანართი 2) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;
ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;
გ) ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების უზრუნველსაყოფად;
დ) რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;
ე) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები მე-7-მე-8 დანართის შესაბამისად.

3. საფინანსო სამსახურმა, ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

4. წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,, ონის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე“ ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 01

მარტის ბ78.78220605 ბრძანება.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სერგო ხიდეშელი

ონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი